ანანაურის ღვთისმშობლის

მიძინების სახელობის ეკლესია

ჭრელი საყდარი

ანანაურის ღვთისმსობლის მიძინების სახელობის ეკლესია, იგივე ჭრელი საყდარი, მდებარეობს ლაგოდეხის რაიონ, სოფელ ანანაურში.

ქალაქი ლაგოდეხიდან 32 კილომეტრის დაშორებით.

ჭრელი საყდარი არის, ერთნავიანი ბაზილიკა, ფორმით ორფერდასახურავიანი წაგრძელებული სწორკუთხედი. მისი სიმაღლეა 4 მეტრი,

სიგანე 3.5, ხოლო სიგრძე 6.8 მეტრი. ნაგებია ადგილობრივი რიყის ქვით (თუმცა აღმოსავლეთ ფასადზე ვხვდებით ერთადერთ პემზის ქვას).

აღმოსავლეთით და დასავლეთით, ზუსტად ერთმანეთის პირისპირ, აქვს ორი ვიწრო სარკმელი. რაც შეეხება სამხრეთ ფასადს, აქ შესასვლელი

კარის მარჯვნივ, ჭერთან ახლოს არის კიდევ ერთი, შედარებით მცირე ზომის სარკმელი.

ეკლესია ჩაჭრილია ნიადაგში ნახევარი მეტრიტთ . საკურთხეველი ტაძრის დანარჩენ ნაწილთან შედარებით შემაღლებულლია და აქვს

ნახევარწრის ფორმა.საკურთხევლის ჩრ კედელში გამოჭრილია სამკვეთლო, სამხრეთ კედელში კი, უფრო მცირე ზომის სადიაკვნე.

ეკლესიის კედლების სისქე 90 სანტიმეტრია, ხოლო საკურთხეველთან ერთ მეტრსაც აღემატება.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ეკლესია აგებულია VI საუკუნეში, თუმცა მოძღვრის თქმით იგი არა VI, არამედ XII საუკუნისაა. ჩემი ვარაუდით

ეკლესია VI საუკუნეს განეკუთვნება, რადგან ასეთი ფორმის ერთნავიანი ბაზილიკები სწორედ ამ პერიოდში გვხვდება მრავლად. აღსანიშნავია ის

ფაქტი, რომ აქ არიას ფრესკები, რაც იძულებულს გვხდის უარვყოთ ეს ვარაუდი, რადგან იმ დროისთვის არ გვხვდება ფრესკა არცერთ ქართულ

ტაძარში. თუმცა აქვე უნდა დავძინო ისიც, რომ ეკლესიის კედლები გარკვეულ სიმაღლეზე ნაგებია რიყის ქვით (ეს დამახასიათებელია იმდროინდელი

კახური არქიტექტურისათვის) ჭერი კი აგურის ოთხკუთხა კვადრებით. თანაც აგურისა და ქვის ბმა უსწორმასწოროა, რაც მაფიქრებინებს, რომ ტაძარი

VI საუკუნისაა და XII საუკუნეში რესტავრირებულია. სავარაუდოდ ტაძრის მხატვრობაც სწორედ ამდროინდელია.

ჭრელი საყდარი – ამ ეკლესიას ადგილობრივებმა ეს სახელი სწორედ იმიტომ უწოდეს, რომ იგი დამშვენებულია ოსტატურად შესრულებული,

საოცრად მეტყველი ფრესკებით. საკურთხევლის თაღზე გამოსახულია მჯდომარე მაცხოვარი, რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს წიგნი, ხოლო

მარჯვენა ხელი ზეაღპყრობილი აქვს. მის გვერდით, ორივე მხარეს ჩანს ორი მამაკაცის ტანი, რომლებიც სავარაუდოდ მთავარანგელოზები მიქაელი და

გაბრიელი არიან. საკურთხეველში, ჩრ მხარეს, სამკვეთლოს თავზე მოსჩანს რამოდენიმე ფეხზემდგომი ადამიანის სილუეტი. მათგან ერთერთის სახე

შედარებით კარგად გაირჩევა. იგი სავარაუდოდ მეფეა, რადგან შარავანდედთან ერთად თავზე გვირგვინიც მოუჩანს (ამ დროს კახეთში მეფობდა

თვითმარქვია მეფე აღსართანი, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ტაძარი მისი საძვალეა, რასაც დაგვიმტკიცებს ტაძრის მინაშენის, საძირკვლის გაჭრის დროს

ნაპოვნი ძვკლებიც, მაგრამ აღსართანმა მიიღო მაჰმადიანობა რაც ამ ვარაუდს აქარწყლებს). ჩრდილოეთ კედლის დანარჩენ ფრაგმენტზე ფრესკები არაა.

რაც შეეხება სამხრეთ კედელს, აქ კარისა და მცირე სარკმლის ზემოთ გამოსახულია ადამიანთა ფიგურები, რომლებიც საკურთხეველში გამოსახული

მაცხოვრისა და მისი მთავარანგელოზების ფიგურებთან შედარებით საკმაოდ მცირე ზომიოსანი არიან. ეს დამახასიათებელია ბიზანტიური ფერწერისთვის,

იქ ადამიანებს წმინდანებთან შდარებით ძალიან პატარებს გამოსახავდნენ. დასავლეთის კედელზე კართან ახლოს მოსჩანს სამი დაჩოქილი მამაკაცის

გამოსახულება, რომლებსაც ხელები ზემოთ აქვთ აღპყრობილი, ეს კლასიკური ვედრების სცენაა.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ჭრელი საყდრის მთავარი ღირებულება, რომელიც მას ინდივიდუალურსა და მნიშვნელოვან ხდის , არის

დასავლეთ კედელზე გარედან გამოსახული ფრესკა. იგი შესრულებულია მეწამულუი ფერის საღებავით და ჟამთასვლის სიავისა და კლიმატური

პირობების მუდმივი ცვლის მიუხედავად საოცრადაა შემონახული. აქ გამოსახულია ნადირობის სცენა: ირემი, რომელსაც გავასა და კისერში ჩარჭობილი

აქვს ისრები, მის უკან ცხენზე ამხედრებული მონადირე მოჭიმული მშვილდით ხელში, უფრო დაბლა მწევარი და სულ უკან კი მამაკაცის ნახევარფიგურა,

რომელიც სავარაუდოდ არის მარეკი. ეს ყოველივე ერთად საოცრად დინამიკური და დახვეწილია, რაც მხატვრის ოსტატობას უსვამს ხაზს.

ტაძარს, ზომების სიმცირის გამო, ადგლობრივი მოსახლეობისა და მოძღვრის თაოსნობით, სამხრეთ ფასადზე მიშენებული აქვს ჯვარ–გუმბათოვანი ტიპის

სამლოცველო, რომლის მშენებლობამ შეიწირა სამხ კედლის გარეთა მხატვრობა.

მიუხედავად ასეთი არაკორექტული მოპყრობისა, ეკლესია მაინც ინარჩუნებს სასწაულმოქმედ ძალას და დღესდღეობით, აქ ვხვდებით რამოდენიმე

მირონმდინარ ხატს. წარწერა კი, რომელიც იუწყება, რომ „ძეგლი დაცულია სახელმწიფოს მიერ და დამზიანებელი ისჯება კანონით“ ფუჭ სიტყვებად რჩება.